



## სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია

### შესავალი

- I. წინამდებარე რეგულაცია ჩამოყალიბებულია მსოფლიო რაგბის შესაბამისი რეგულაციების ფუნდამენტური პრინციპების დაცვით და სრკ-ს მიერ ორგანიზებული შეჯიბრებების, საშეჯიბრო სტრუქტურების სპეციფიკისა და არსებული კანონმდებლობის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- II. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია მიზნად ისახავს პატიოსანი თამაშის პრინციპების მხარდაჭერას და პოპულარიზაციას, მოთამაშეთა ჯანმრთელობის და კეთილდღეობის დაცვას, ბინძური თამაშის და არამართებული ქცევის ინციდენტებზე ოპერატიულად და სათანადოდ რეაგირებას, თამაშის იმიჯისა და რეპუტაციის ზიანისგან დაცვას.
- III. წინამდებარე რეგულაციას საფუძვლად უდევს ჰარმონიული მიდგომა თამაშის ყველა დონეზე სადისციპლინო ნორმების დაცვისა და ბინძურ თამაშის და არამართებული ქცევის ფაქტებთან დაკავშირებული სანქციების გატარებისადმი. რეგულაცია მიზნად ისახავს სადისციპლინო ნორმების გატარებაში თანმიმდევრულობის მიღწევას, ბინძური თამაშის და არამართებული ქცევის ინციდენტების სერიოზულობის შეფასებასა და სანქციების დაკისრებაში, ერთგვაროვანი მიდგომის უზრუნველყოფას. რეგულაციის საბოლოო მიზანია სადისციპლინო პროცესის ბუნებრივი სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა.
- IV. სრკ-ს იურისდიქციის ფარგლებში რაგბის თამაშის ყველა მონაწილე ვალდებულია, თავისი როლის მიუხედავად, დაემორჩილოს წინამდებარე რეგულაციას და აღიაროს მისი ფუნდამენტური პრინციპი - უნივერსალურობა, რომელიც უზრუნველყოფს სრკ-ს იურისდიქციის ფარგლებში რაგბის თამაშის ყველა დონეზე, მოთამაშისადმი და/ან პიროვნებისადმი და/ან სრკ-ს წევრი სუბიექტისადმი გამოყენებული სანქციების გატარებას.

#### 1. რეგულაციის მოქმედების სფერო

1.1 წინამდებარე რეგულაცია მოქმედებს და აღწერს სადისციპლინო პროცესს შემდეგ შემთხვევებში:

- ა) როდესაც მოთამაშე გაძევებულია თამაშის ბოლომდე (წითელი ბართი);
- ბ) როდესაც მოთამაშეზე ბინძური თამაშისთვის დაწერილია საითინგი (საითინგი); და
- გ) მოთამაშეზე გაცემული ყვითელი ბარათების და/ან საითინგ კომისრის გაფრთხილებების აკუმულირების დროს;
- დ) პიროვნების მხრიდან არამართებული ქცევის დროს;

1.2 სადისციპლინო რეგულაცია ეხება და ავალდებულებს სრკ-ს საქმიანობაში ნებისმიერი სახით ჩართულ პიროვნებებს, თითოეულ კლუბს/გუნდს და მასთან ნებისმიერი სახით დაკავშირებულ პიროვნებებს (იქნება ეს კლუბში/გუნდში რეგისტრირებული მოთამაშეები თუ სხვა ნებისმიერი სახით დაკავშირებული პიროვნებები) უპირობოდ აღიაროს და დაემორჩილოს ამ რეგულაციით დადგენილ პროცედურებს.

1.3 სრკ-ს საქმიანობაში ნებისმიერი სახით ჩართულმა პიროვნებებმა, სრკ-ს წევრმა სუბიექტებმა და მათთან ნებისმიერი დონის კავშირში მყოფმა პიროვნებებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სადისციპლინო ტრიბუნალის საქმიანობა არ წარმოადგენს იურიდიულად განმარტებულ სასამართლო პროცესს და სადისციპლინო განხილვებზე წარმოდგენილი დისციპლინარული დარღვევების განხილვის და მათზე რეაგირების მთავარი მიზანია თამაშის უპირატესი პრინციპების და ღირებულებების დაცვა, როგორცაა: მსოფლიო რაგბის მიერ დადგენილი



თამაშის წესების დაცვა, პატიოსანი და ღირსეული შეჯიბრი, მოთამაშეთა და რაგბში ნებისმიერ დონეზე ჩართულ პიროვნებათა რეპუტაციის არაკეთილსინდისიერად შელახვისგან დაცვა, თამაშში მონაწილე პირთა უსაფრთხოება და კეთილდღეობა. ზემოთქმულიდან გამომდინარე სადისციპლინო განხილვებზე წარმოდგენილი დისციპლინარულ დარღვევასთან დაკავშირებული მასალები შესაძლებელია მხადაჭერილი ან უარყოფილი იქნას მათი იურიდიული წონის მიუხედავად.

**1.4** სრკ, როგორც მსოფლიო რაგბის წევრი კავშირი, მისი წევრი ყველა პიროვნება და სრკ-ს მიერ ორგანიზებულ ტურნირებში მონაწილე ყველა კლუბთან/გუნდთან ნებისმიერ კავშირში მყოფი პიროვნებები, ვალდებული არიან საერთაშორისო ტურნირებში/მატჩებში მონაწილეობის დროს, აღიარონ და დაემორჩილონ მსოფლიო რაგბის, რაგბი ევროპის და/ან შესაბამისი საერთაშორისო ტურნირების ორგანიზატორების მიერ დადგენილ სადისციპლინო რეგულაციებს.

**1.5** სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს უფლება აქვს აწარმოოს შიდა დისციპლინარული პროცესი და სანქციები დააკისროს სრკ-ში რეგისტრირებულ მოთამაშეს/პიროვნებას, საერთაშორისო ტურნირზე/მატჩზე მათ მიმართ აღძრული დისციპლინარული საქმის საფუძველზე.

## **2. ტერმინთა განმარტება:**

**2.1. წითელი ბარათი (თამაშის ბოლომდე გაძევება)** - მოთამაშის თამაშის ბოლომდე გაძევება მინდვრიდან მსაჯის მიერ. მოთამაშეს აღარ აქვს უფლება ითამაშოს ამ თამაშში.

**2.2. ყვითელი ბარათი (დროებითი გაძევება)** - მოთამაშის დროებითი გაძევება მინდვრიდან. მოთამაშე უფლება აქვს დაბრუნდეს თამაშში, 10 წუთის (სათამაშო დრო) გასვლის შემდეგ რაგბი XV-ში, 2 წუთის შემდეგ შვიდკაცა რაგბში.

**2.3. საითინგ კომისარი** - ამ რეგულაციის 14-ე მუხლის მიხედვით დანიშნული და მოქმედი მატჩის ოფიციალური პირი.

**2.4. საითინგ კომისარის გაფრთხილება** - მოთამაშე იღებს საითინგ კომისარის გაფრთხილებას, როდესაც საითინგ კომისარი მიიჩნევს, რომ მოთამაშის ქმედება ახლოს იყო წითელი ბარათის ზღვართან, მაგრამ იგი არ იქნა მინდვრიდან გაძევებული (წითელი/ყვითელი ბარათი) მსაჯის მიერ.

**2.5. წესი 9** - მსოფლიო რაგბის თამაშის წესი N 9 - ბინძური თამაში.

**2.6. ბინძური თამაში** - წესი 9-ს დარღვევა.

**2.7. მოთამაშე** - კონკრეტული თამაშის სათამაშო განაცხადში შეყვანილი მორაგბე.

**2.8. სრკ-ს წევრი სუბიექტი (სარაგბო ორგანო)** - სარაგბო - კლუბი, ორგანიზაცია, ასოციაცია, საზოგადოება და სხვა იურიდიული პირი, რომელიც შედგება რაგბის გუნდის ან გუნდებისგან და მონაწილეობს სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში ან მატჩში ნებისმიერ დონეზე.

**2.9. პიროვნება** - პირი, რომელიც არის ან იყო ოდესმე ჩართული რაგბში ნებისმიერ დონეზე. მაგალითად (და არ არის ლიმიტირებული): სრკ-ს საქმიანობაში ნებისმიერ დონეზე ჩართული პირი და/ან თანამშრომელი, მწვრთნელი, სამედიცინო პირი, ფიზიოთერაპევტი, მსაჯი, სელექციონერი, მატჩის მეთვალყურე და ა.შ. სრკ-ს წევრ სუბიექტთნ რაიმე სახით დაკავშირებული და/ან საქმიანობაში ჩართული ნებისმიერი პირი.

**2.10. ქცევის კოდექსი და არამართებული ქცევა** - სათამაშო სივრცეში და მის მიღმა, პიროვნებებისათვის, წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრული ქცევის ნორმები და არამართებული ქცევა.



**2.11. მატჩის ოფიციალური პირები** - სრკ-ს მიერ ორგანიზებულ, ნებისმიერი დონის შეჯიბრებაზე ან მატჩზე, სრკ-ს სტრუქტურების მიერ დანიშნული - მსაჯები, მატჩის მეთვალყურე, საითინგ კომისარი ან მისი ლიეიზონ ოფიცერი, მატჩის ოფიციალური ვიდეოოპერატორები, კომენტატორები და სხვა ოფიციალურად დანიშნული პირები.

**2.12. სათამაშო სივრცე** - არენა/სტადიონი, მის ტერიტორიაზე არსებული შენობა ნაგებობები და სათამაშო მოედნები, სადაც იმართება სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის შეჯიბრება.

**2.13. სათამაშო პერიმეტრი** - სათამაშო მოედანი და მისი მიდებარე ტერიტორია (ტექნიკური ზონა, სინ ბინი, მატჩის კომისრის ადგილი და ა.შ.). არ მოიცავს სტადიონის ტრიბუნებს.

**2.14. კვირა/თამაში** - ამ რეგულაციის 6.1 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების მქონე მატჩები.

**2.15. სანქცია** - სრკ-ს სადისციპლინო კომისიის და/ან სრკ-ს სააპელაციო კომისიის მიერ წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრული წესების დაცვით მიღებული და გადაწყვეტილებით განსაზღვრული, მოთამაშისთვის, პიროვნებისთვის, სრკ-ს წევრი სუბიექტისათვის კვირებით ან გარკვეული პერიოდით რაგბთან დაკავშირებული საქმიანობის აკრძალვა/შეზღუდვა (დისკვალიფიკაცია) და/ან ფულადი ჯარიმების დაწესება.

### **3. ფუნდამენტური პრინციპები**

**3.1** წარმოგიდგენთ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა რაგბის თამაშის ნებისმიერ დონეზე, წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრული ბინძური თამაშის/არამართებული ქცევის ინციდენტებთან დაკავშირებული სადისციპლინო პროცედურების გატარებისას.

**3.2** სანქციები ბინძური თამაშისთვის ერთნაირია თამაშის ყველა დონეზე. შესაბამისად, სრკ, მისი იურისდიქციის ფარგლებში გამართულ ყველა დონის შეჯიბრებებში აწესებს მსოფლიო რაგბის შესაბამის სანქციებს, ბინძური თამაშისთვის, რომლებიც ჩამოთვლილია წინამდებარე რეგულაციის **დანართი 1-ში** და **დანართი 4-ში**.

**3.3** შესაბამისი დანართების ფარგლებში გამოტანილი სანქციების ხანგრძლივობა, როგორც წესი, განისაზღვრება წინამდებარე დებულების 6.1 პუნქტის კრიტერიუმების შესაბამისი კვირების გარკვეული რაოდენობით. სადისციპლინო სანქციის მოქმედების პერიოდში, დასჯილ მოთამაშეს/პიროვნებას თამაშის დროს ეკრძალება რაიმე სახის აქტივობა სათამაშო პერიმეტრში რაგბის თამაშის ნებისმიერ დონეზე.

**3.4** წინამდებარე რეგულაციის მე-4, მე-5 და მე-6 მუხლებში აღწერილი, სადისციპლინო სასჯელების განსაზღვრის და გატარების პროცესი, თამაშის წესების დარღვევისას, სტრუქტურულად უცვლელია, სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის შეჯიბრისთვის და/ან მატჩისთვის.

**3.5** ყველა სადისციპლინო განხილვაში დაცული უნდა იყოს ბუნებრივი სამართლის პრინციპები. ამ პრინციპების შესაბამისად, ბინძური თამაშის/არამართებული ქცევის ინციდენტის განხილვისას, სავარაუდო დამრღვევ მოთამაშეს/პიროვნებას უფლება აქვს იცნობდეს მის წინააღმდეგ არსებულ სამხილს, გამოთქვას თავისი პოზიცია, იყოლიოს დამცველი, მისცეს ჩვენება და დაიცვას თავი სადისციპლინო ან სააპელაციო კომისიის წინაშე.

**3.6** მოთამაშეს/პიროვნებას ეკრძალება მატჩის დროს რაგბთან დაკავშირებულ ნებისმიერ აქტივობაში მონაწილეობა, მის მიმართ წარმოებული სადისციპლინო საქმის დაწყებიდან განხილვის დასრულებამდე.



**3.7** წინამდებარე რეგულაცია ერთნაირად ეხება სრკ-ს მიერ ორგანიზებულ ნებისმიერი დონის შეჯიბრებას ან მატჩს, როგორც თხუთმეტკაცა და შვიდკაცა რაგბში, ისე რაგბის სხვა ადაპტირებულ სახეობებს.

#### **4. სადისციპლინო პროცესის დაწყების საფუძვლები.**

##### **წითელი ბარათი**

**4.1.** მატჩის მსაჯი, მოთამაშის მოედნიდან თამაშის ბოლომდე გამეგების (წითელი ბარათი) შემთხვევაში ადგენს წითელი ბარათის ოქმს და აგზავნის ტურნირის/მატჩის ორგანიზატორთან და/ან სადისციპლინო სამსახურში მატჩის დამთავრებიდან **24 საათის** განმავლობაში.

##### **საითინგი.**

**4.2.** საითინგ კომისარი წინამდებარე რეგულაციით დამტკიცებული საჩივრის(საითინგის) ფორმის მეშვეობით აწვდის ტურნირის/მატჩის ორგანიზატორს და/ან სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს სათანადო ინფორმაციას და მხარდამჭერ მონაცემებს, მოთამაშეების მხრიდან სავარაუდოდ მომხდარი ბინძური თამაშის ინციდენტების შესახებ, **48(ორმოცდარვა)** საათის განმავლობაში იმ მატჩის დასრულებიდან, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ ინციდენტებს.

##### **ყვითელი ბარათების და/ან საითინგ კომისრის გაფრთხილებების აკუმულირება**

**4.3.** საითინგ კომისრის ორი გაფრთხილება ან საითინგ კომისრის ერთი გაფრთხილება და ყვითელი ბარათი, ერთი და იგივე თამაშში ან 3 (სამი) ყვითელი ბარათის/საითინგ კომისრის გაფრთხილებების ნებისმიერი კომბინაცია სათანადო სეზონის განმავლობაში. 5 (ხუთი) ყვითელის ბარათის/საითინგ კომისრის გაფრთხილებების ნებისმიერი კომბინაცია, შვიდკაცა რაგბის ტურნირის დროს.

**4.4.** სადისციპლინო სამსახური განიხილავს ყვითელი ბარათების და/ან საითინგ კომისრის გაფრთხილებების აკუმულირების ფაქტებს ამ რეგულაციის **დანართი #7-თ** განსაზღვრული წესით.

##### **ქცევის კოდექსი და არამართებული ქცევა**

**4.5.** სადისციპლინო სამსახური განიხილავს პიროვნების/სრკ-ს წევრი სუბიექტის მიერ ქცევის კოდექსის დარღვევის და არამართებული ქცევის ფაქტებს ამ რეგულაციის მე-8 მუხლით განმარტებული შემთხვევების დროს.

**4.6.** მატჩის ოფიციალურმა პირებმა ქცევის კოდექსის დარღვევის და არამართებული ქცევის ფაქტების შესახებ უნდა მიმართონ სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს, მიაწოდონ მას სრკ-ს მიერ დადგენილი შესაბამისი ფორმით შევსებული საჩივრის ფორმა და საჩივრის მხარდამჭერი მასლები, **48 (ორმოცდარვა)** საათის განმავლობაში იმ მატჩის დასრულებიდან სადაც მოხდა სავარაუდო ბინძური თამაშის და/ან არამართებული ქცევის ფაქტ(ებ)ი.

##### **კლუბების(გუნდების)წარმომადგენლების/პიროვნებების საჩივარი**

**4.7** კლუბების(გუნდების) წარმომადგენლებს/პიროვნებებს უფლება აქვთ დააფიქსირონ და საჩივარი დაწერონ მოთამაშის ან პიროვნების მხრიდან სავარაუდო ბინძური თამაშის ფაქტზე ან არამართებულ ქცევაზე თუ ამ ფაქტებზე რეაგირება არ მოახდინეს მატჩის ოფიციალურმა პირებმა:



ა) **მატჩი რომელზეც სრკ-ს მიერ დანიშნულია საითინგ კომისარი** - პიროვნებებმა უნდა მიმართონ საითინგ კომისარს, მიაწოდონ მას სრკ-ს მიერ დადგენილი შესაბამისი ფორმით შევსებული საჩივრის ფორმა და საჩივრის მხარდამჭერი მასლები, **24 (ოცდაოთხი)** საათის განმავლობაში იმ მატჩის დასრულებიდან სადაც მოხდა სავარაუდო ბინძური თამაშის და/ან არამართებული ქცევის ფაქტ(ებ)ი.

ბ) **მატჩი რომელზეც სრკ-ს მიერ არ არის დანიშნული საითინგ კომისარი** - პიროვნებებმა უნდა მიმართონ სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს, მიაწოდონ მას სრკ-ს მიერ დადგენილი შესაბამისი ფორმით შევსებული საჩივრის ფორმა და საჩივრის მხარდამჭერი მასლები, **48 (ორმოცდარვა)** საათის განმავლობაში იმ მატჩის დასრულებიდან სადაც მოხდა სავარაუდო ბინძური თამაშის და/ან არამართებული ქცევის ფაქტ(ებ)ი.

გ) **სავარაუდო არამართებული ქცევის ინციდენტი სათამაშო სივრცის მიღმა** - პიროვნებებმა უნდა მიმართონ სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს, მიაწოდონ მას წერილობითი საჩივარი და საჩივრის მხარდამჭერი მასლები, **48 (ორმოცდარვა)** საათის განმავლობაში ასეთი ინციდენტის ფაქტიდან.

**4.7<sup>1</sup> თამაშის უფლების არ მქონე მოთამაშის თამაშში მონაწილეობის** სავარაუდო ფაქტის შემთხვევაში, პიროვნებებმა წერილობით უნდა მიმართონ, მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია და მხარდამჭერი მონაცემები ტურნირის/მატჩის ორგანიზატორს და/ან სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს :

ა) **კონკრეტული შეჯიბრების რეგულარული ჩემპიონატის (ბოლო ტურის) დამთავრების** თარიღიდან **48 (ორმოცდარვა)** საათის განმავლობაში.

ბ) **პლეიოფების დროს** - კონკრეტული თამაშის დასრულებიდან **48(ორმოცდარვა)** საათის განმავლობაში.

## 5. ბინძური თამაშის ინციდენტის სიმძიმის შეფასება

**5.1** სადისციპლინო კომისია აფასებს მოთამაშის ქმედებებს ბინძური თამაშის დროს და განსაზღვრავს მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის კატეგორიას (მსუბუქი, საშუალო თუ მძიმე), რაც წარმოადგენს სათანადო საფუძველს თამაშის წესის დარღვევის კონკრეტული ინციდენტ(ებ)ის განსახილველად. იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი ინციდენტ(ებ)ი ცალსახად გათვალისწინებულია წინამდებარე დებულების **დანართ 1-ში და/ან დანართი 4-ში**. მოთამაშის მიერ ჩადენილი ბინძური თამაშის ინციდენტის სიმძიმის შეფასება ხდება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

(ა) იყო თუ არა დარღვევა შეგნებული/განზრახული;

(ბ) იყო თუ არა დარღვევა წინდაუხედავი - სხვა სიტყვებით, იცოდა თუ არა მოთამაშემ (ან უნდა სცოდნოდა თუ არა მას), რომ არსებობდა თამაშის წესების დარღვევის რისკი;

(გ) მოთამაშის მიერ ჩადენილი თამაშის წესის დარღვევის სიმძიმე;

(დ) მოთამაშის ქმედებების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მორაგბე (მაგ. მუშტით, იდაყვით, მუხლით, ფეხით / ბუციით);

(ე) ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას;

(ვ) სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული;



(ზ) მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა);

(თ) რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა);

(ი) მოთამაშის/პიროვნების ქმედებების გავლენა მატჩის მსვლელობაზე;

(კ) დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა;

(ლ) შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა; და

(მ) დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი.

**5.2** ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით, სადისციპლინო კომისია განსაზღვრავს ბინძური თამაშის ინციდენტის სიმძიმეს (მსუბუქი, საშუალო ან მძიმე) და **დანართი 1-დან/4-დან** არჩევს შესაბამის სანქციას.

**5.3** იმ შემთხვევაში, თუ დარღვევა შეფასდა როგორც მძიმე, სადისციპლინო კომისიის მიერ დასაკისრებელი სანქციის ხანგრძლივობა განისაზღვრება ნებისმიერი ვადით **დანართ 1-ში/4-ში** მოცემული დარღვევისთვის შესაფერის მაქსიმალურ პერიოდსა და ზედა ზღვარის შესაბამის სანქციას შორის.

#### **დამამძიმებელი გარემოებები**

**5.4** მოცემული ინციდენტისთვის შესაფერისი სავარაუდო სანქციის განსაზღვრის შემდგომ, სადისციპლინო კომისიამ უნდა გამოავლინოს და განიხილოს არსებული დამამძიმებელი გარემოებები და განსაზღვროს, არსებობს თუ არა მოცემული დარღვევისთვის დასაკისრებელი სანქციის გაზრდის საფუძველი.

**5.5** დამამძიმებელ გარემოებებს მიეკუთვნება:

(ა) მოთამაშის/პიროვნების, როგორც სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დამრღვევის, უარყოფითი სადისციპლინო ისტორია;

(ბ) დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება; და

(გ) ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება, რასაც სადისციპლინო კომისია მნიშვნელოვნად ჩათვლის.

#### **შემამსუბუქებელი გარემოებები**

**5.6** სადისციპლინო კომისია განიხილავს ყველა შესაფერის შემამსუბუქებელ გარემოებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა სანქციის შემცირების საფუძველი.

**5.7** შემამსუბუქებელ გარემოებებს მიეკუთვნება:

(ა) სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დამრღვევი მოთამაშის/პიროვნების მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო;

(ბ) მოთამაშის/პიროვნების დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;

(გ) მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;

(დ) მოთამაშის/პიროვნების ქცევა საქმის განხილვამდე და განხილვის პროცესში;

(ე) მოთამაშის/პიროვნების მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო; და

(ვ) ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება, რასაც სადისციპლინო კომისია მნიშვნელოვნად ჩათვლის.

**5.8** წინამდებარე რეგულაციის შესაბამისად, სადისციპლინო კომისიას არა აქვს უფლება თამაშის წესების დარღვევისთვის მოთამაშეზე დასაკისრებელი სტანდარტული სანქცია შეამციროს 50%-



ზე მეტით. სანქციის ხანგრძლივობის 0-დან 50%-მდე შემცირებაზე მსჯელობისას, სადისციპლინო კომისია აფასებს შემამსუბუქებელ გარემოებებს.

**5.9** იმ შემთხვევაში თუ, დარღვევა წინამდებარე დებულების თანახმად, შეფასდა როგორც მსუბუქი(ქვედა ზღვარი); ამასთანავე:

(ა) თუ არსებობს მატრის შემდგომ მომხდარი რაიმე შემამსუბუქებელი გარემოებები

(ბ) თუ სადისციპლინო კომისია მიიჩნევს, რომ სანქცია არ შეესაბამება დარღვევის დონეს და ტიპს;

სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია, მოთამაშეზე დასაკისრებელი სანქცია შეამციროს 50%-ზე მეტით **დანართი 1-ში/4-ში** განსაზღვრული **მსუბუქი** (ქვედა ზღვარი) დარღვევისთვის დასაკისრებელი დისკვალიფიკაციის სტანდარტულ ვადასთან შედარებით ან საერთოდ შეიკავოს თავი მოთამაშის დისკვალიფიკაციისგან.

**5.10** სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია ამოშალოს მსაჯის მიერ გაცემული წითელი/ყვითელი ბარათი მოთამაშის სადისციპლინო ისტორიიდან იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებული მტკიცებულებზე დაყრდნობით არ ჩათვლის დარღვევას წითელი ბარათის ტოლფასად ან თუ მსაჯის მიერ ბარათის გაცემისას ადგილი ჰქონდა არასწორ იდენტიფიცირებას.

## 6. სანქციების დაკისრება

**6.1** დისკვალიფიკაციის დაკისრებისას, სადისციპლინო კომისიამ უნდა გაითვალისწინოს კვირები, რომლებშიც იმართება ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების შესაბამისი მატჩ(ებ):

ა) მატჩი, რომელშიც მოთამაშე/პიროვნება მიიღებდა მონაწილეობას, რომ არა მის წინააღმდეგ აღძრული სადისციპლინო საქმე (იმის დამტკიცება, იქნებოდა თუ არა მოთამაშე მოცემული მატჩის განაცხადში, საბოლოო ჯამში მას ევალება). თუ მოთამაშეს კვირის განმავლობაში უწევდა ერთზე მეტ მატჩში მონაწილეობა (მაგალითად, შუა კვირაში დანიშნული თამაშის გამო), ასეთი კვირა დისკვალიფიკაციის პერიოდის ფარგლებში მაინც ერთ კვირად ჩაითვლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დისკვალიფიკაცია ხდება კონკრეტული ტურნირის ფარგლებში, რომლის წესებიც ითვალისწინებს დისკვალიფიკაციას მატჩების რაოდენობით;

ბ) მატჩი, რომელიც არ წარმოადგენს საერთაშორისო ტურნირის ან მატჩების სერიის ნაწილს, მაგრამ:

იმართება სრკ-ს ორგანიზებით და ყველა წესის დაცვით;

(\*) იმართება ექვივალენტური სიძლიერის (მაგ. ანალოგიურ დონეზე მოასპარეზე ან მსგავსი სათამაშო სტანდარტების მქონე) ორ გუნდს შორის, როემლიც იგივე ან ეკვივალენტურ დონეზე თამაშობენ და ერთნაირი დონის მორაგბეებით არიან დაკომპლექტებული (და ეს დონე შეესაბამება დისკვალიფიცირებული მოთამაშის დონეს);

(\*\*) იმართება ორივე გუნდისთვის ხელმისაწვდომი უძლიერესი მოთამაშეების მონაწილეობით;

(\*\*\*) იმართება ისეთი ტევადობის და პარამეტრების მქონე სტადიონზე, რომელიც ტიპიურია ასეთი დონის ან სტანდარტის გუნდების თამაშისას;

(\*\*\*\*) ხელმისაწვდომია მაყურებლებისთვის (და, პროფესიული გუნდების მონაწილე თამაშების შემთხვევაში - სტადიონზე შესვლა ფასიანია);

გ) დანიშნულია საერთაშორისო მატჩის, ტურნირის, ტურნეს ან მატჩების სერიის დაწყებამდე 4 კვირის განმავლობაში;



(დ) პლეიოფი, ფინალი ან მსგავსი თამაში, რომელშიც მონაწილეობის უფლება მორაგბის გუნდს ჯერ არ მოუპოვებია, ჩაითვლება, თუ სადისციპლინო კომისიის მიერ დასკვნის გამოტანის მომენტისთვის არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ მოთამაშის გუნდი მსგავსი თამაშის საგზურს მოიპოვებს;

(ე) იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშეს უწევს მონაწილეობა სრკ-ს მიერ ორგანიზებულ რაგბის სხვა სახეობაში (არა იმაში, რომელშიც დისკვალიფიკაცია მიიღო), მაშინ დისკვალიფიკაცია ასევე შეეხება ამ განსხვავებული სახეობის რაგბის ყველა მატჩს, რომელიც დისკვალიფიკაციის პერიოდშია დაგეგმილი. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშემ დისკვალიფიკაცია მიიღო რაგბი 15-ის თამაშის დროს, ხოლო შემდგომ პერიოდში მას უწევს მონაწილეობა თამაშის ე.წ. შეკვეცილ სახეობებში, მაშინ დისკვალიფიკაციის ერთ კვირად ჩაითვლება კვირა რომლის დროსაც იმართება თამაშები, რომლებიც წარმოადგენენ სრკ-ს მიერ ორგანიზებულ, ნებადართული ტურნირის ან მატჩების სერიის ნაწილს.

**6.2** დაკისრებული ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვალდებულ მხარეს ეძლევა გაფრთხილება და მიეცემა დამატებითი 10 (ათი) კალენდარული დღე ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჯარიმის გადაუხდელობის ყოველ კვირაზე გუნდს დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა. ჯარიმის გადახდის ვალდებულება ყველა შემთხვევაში რჩება ძალაში.

**6.3** სამოყვარულო და ჭაბუკთა ლიგების გუნდებს, ფულადი ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში, გადახდისათვის ეძლევათ 7 (შვიდი) კალენდარული დღე. გადაუხდელობის შემთხვევაში მათ ავტომატურად დააკლდებათ სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებაში აღნიშნული საცხრილო ქულების რაოდენობა.

## **7. შვიდკაცა რაგბი - ადაპტირებული პროცედურები**

**7.1** შვიდკაცა რაგბის ტურნირების და მატჩების სერიების უნიკალური სტრუქტურის გათვალისწინებით, შვიდკაცაში წინამდებარე დებულებაში სადისციპლინო რეგულაციებით განსაზღვრულ ინციდენტებთან დაკავშირებით იმოქმედებს შემდეგი ადაპტირებული წესები.

**7.2** წინამდებარე დებულების ფარგლებში თხუთმეტკაცა რაგბისთვის გათვალისწინებული ყველა პროცედურა და სტანდარტი ასევე ვრცელდება შვიდკაცა რაგბზე ქვემოთ ჩამოთვლილი ცვლილებების გათვალისწინებით. კერძოდ:

**7.3** სანქციების ის ნაწილი რომელიც ეხება მოთამაშის და/ან პიროვნების რაგბთან დაკავშირებული საქმიანობის აკრძალვა/შეზღუდვას გარკვეული პერიოდით, როგორც წინამდებარე დებულების შესაბამის დანართებშია ჩამოთვლილი, დაწესებულია იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ სტანდარტულ პირობებში მოთამაშეს და/ან პიროვნებას დისკვალიფიკაციის ერთკვირიანი პერიოდის განმავლობაში თხუთმეტკაცა რაგბის ერთი მატჩის გამოტოვება უწევს. შვიდკაცა რაგბის ტურნირის დროს კი ერთი დღის განმავლობაში რამდენიმე მატჩში უწევს მონაწილეობის მიღება. დისკვალიფიკაციის პერიოდის განსაზღვრისას, სადისციპლინო ტრიბუნალის წევრ(ებ)მა უნდა გაითვალისწინოს, რომ შვიდკაცა რაგბის ტურნირის ან მატჩების სერიის დროს მოთამაშეს და/ან პიროვნებას შეიძლება მოუწიოს ტურნირის ან მატჩების სერიის მთლიანად გამოტოვება, ვინაიდან დისკვალიფიკაციის პერიოდი





კვირებით გამოითვლება, და დააწესოს დისკვალიფიკაცია თამაშების რაოდენობიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში, სადისციპლინო ტრიბუნალის წევრ(ებ)მა უნდა იხელმძღვანელოს დისკვალიფიკაციის ზოგადი გავლენის მოსაზრებით. **ეს პუნქტი არ გამორიცხავს მოთამაშის და/ან პიროვნების დისკვალიფიკაციის პერიოდის ტურნირის დასრულების შემდეგ გაგრძელებას.**

**7.4** შვიდკაცა რაგბის მატჩის დროს მოთამაშის და/ან პიროვნების მხრიდან დისციპლინარული დარღვევის შემთხვევაში, მისი საქმის განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა უნდა მოხდეს, შემდგომში დაგვარად, შესაბამისი მატჩის დასრულებიდან 2 საათის განმავლობაში ან იგივე ტურნირის ფარგლებში სხვა მატჩში მონაწილეობის მიღებამდე (რომელიც უფრო ადრე მოხდება).

## **8. ქცევის კოდექსი და არამართებული ქცევა**

**8.1.** არამართებულ ქცევაში არ იგულისხმება თამაშის დროს, მოთამაშის მხრიდან წინამდებარე რეგულაციის დანართი №1 და №4-ში ჩამოთვლილი, წესი 9-ს (ბინძური თამაში) დარღვევის ინციდენტები, სადაც მოთამაშის მხრიდან არამართებული ქცევისთვის განსაზღვრულია შესაბამისი სანქციები (9.28. (ა) დან – (ე) ჩათვლით ).

### **ქცევის კოდექსი**

პიროვნება/სრკ-ს წევრი სუბიექტი, ვალდებულია:

**8.2.** იზრუნოს იმაზე, რომ რაგბის თამაში წარიმართოს დისციპლინის და სპორტული ქცევის პრინციპების დაცვით; გააცნობიეროს, რომ ამ პრინციპების დაცვა არ არის მხოლოდ მატჩის ოფიციალური პირების მოვალეობა;

**8.3.** ხელი შეუწყოს რაგბის თამაშის წესების დაცვას და არ დაუშვას მოედანზე თამაშის წესების დარღვევაში შემჩნეული მოთამაშეები;

**8.4.** არ ჩაიდინოს რაგბის თამაშის წესების მრავლობითი დარღვევა;

**8.5.** აღიაროს მატჩის ოფიციალური პირების ავტორიტეტი და დაემორჩილოს მათ გადაწყვეტილებებს;

**8.6.** საჯაროდ არ გააპროტესტოს და/ან პროვოცირება გაუწიოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო გაპროტესტებას;

**8.7.** საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს - სრკ-ს სადისციპლინო ან სააპელაციო კომისიების მიერ თამაშის წესების და/ან ქცევის კოდექსის დარღვევასთან და არამართებულ ქცევასთან დაკავშირებით საქმის წარმართვის ან გამოტანილი გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას;

**8.8.** არ მოიქცეს და/ან არ მიიღოს მონაწილეობა რაიმე ქცევაში და/ან აქტივობაში სათამაშო სივრცეში ან მის მიღმა, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს საზოგადოების რწმენას სრკ-ს მიერ ორგანიზებული შეჯიბრებების და/ან ცალკეული მატჩების პატიოსნად და ორგანიზებულად წარმართვაში (მ.შ. პირდაპირ ან არაპირდაპირ გადასცეს რაგბთან დაკავშირებული ინფორმაცია ბუკმეკერებს და პიროვნებებს, რომლებსაც შეუძლია ასეთი ინფორმაციის საკუთარი თავის სასარგებლოდ გამოყენება) და/ან რაგბთან კავშირის მქონე რომელიმე პიროვნების პატიოსნებაში და დადებით თვისებებში;

**8.9.** არ დაარღვიოს სრკ-ს მოქმედი რეგულაციები, დებულებები, წესდება, სრკ-ს გამგეობის სხდომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;



- 8.10.** არ დაარღვიოს მსოფლიო რაგბის მე-6 რეგულაცია (ანტიკორუფციული, გარიგება, შიდა ინფორმაციის გასაჯაროება და/ან მესმე პირისთვის გადაცემა/ აკრძალული ფსონის დადება);
- 8.11.** ხელი შეუწყოს თამაშის იმიჯის ამაღლებას და მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა არ მოხდეს მისი შეზღავანება;
- 8.12.** არ დაარღვიოს ანტიდოპინგის წესები;
- 8.13.** არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;
- 8.14.** არ გამოიყენოს უხეში ან შეურაცხმყოფელი ლექსიკა მატჩის ოფიციალურ პირების, მოთამაშეების, პიროვნებების, და/ან მაცურებლის მიმართ;
- 8.15.** არ ჩაიდინოს ისეთი საქციელი, რომელიც გამოიწვევს ნებისმიერი პირის დაშინებას, შეურაცხყოფას, დამცირებას თუ დისკრიმინაციას რელიგიის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, კანის ფერის, ეროვნების ან ეთნიკური ნიშნით;
- 8.16.** არ ჩაიდინოს ისეთი საქციელი, რომელიც უარყოფით გავლენას მოახდენს სრკ-ზე და/ან რაგბის კომერციულ პარტნიორზე.
- 8.17.** სათანადო შეასრულოს სრკ-ს და/ან სრკ-ს სტრუქტურების მიერ, ხელშეკრულებით და/ან დებულებით დაკისრებული მოვალეობები.

### **არამართებული ქცევა**

- 8.18.** „არამართებული ქცევა“ გულისხმობს მომხდარ ნებისმიერ ქცევას, განცხადებას და/ან ქმედებას სათამაშო სივრცეში ან მის მიღმა, რომელიმე კონკრეტულ თამაშთან კავშირში ან კავშირის გარეშე, რომელიც: არასპორტულია, თაღლითურია, არღვევს არსებულ წესებს, უდისციპლინობის გამოვლინებაა და/ან ზიანს აყენებს რაგბს, სრკ-ს და მის რომელიმე სტრუქტურას, სრკ-ს წევრ სუბიექტებს და სრკ-ს სტრუქტურების საქმიანობაში ჩართული ნებისმიერი პირების და/ან რაგბის კომერციული პარტნიორების და/ან მატჩის ოფიციალურ პირთა და/ან სადისციპლინო პერსონალის რეპუტაციას.
- 8.19.** ვინაიდან შეუძლებელია არამართებული ქცევის / განცხადებების / ქმედებების ტიპების ამომწურავი სიის შედგენა, რომელიც დაერთვებოდა წინამდებარე რეგულაციას, მაგალითის სახით წარმოგიდგინებთ სხვადასხვა სახის ქცევის / განცხადებების / ქმედებების ნუსხას , რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს არამართებულად:
- ა) ვინმეს მიმართ ძალადობა თუ დაშინება სათამაშო სივრცეში ან მის მიღმა.
  - ბ) აგდებული, დამამცირებელი და/ან აგრესიული დამოკიდებულება მატჩის ოფიციალური პირების , სადისციპლინო პერსონალის, სრკ-ს წევრების, პიროვნებების ან მაცურებლების მიმართ;
  - გ) სიტყვიერი თუ ქმედითი დისკრიმინაცია რელიგიის, რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, უნარების, კანის ფერის თუ ეროვნების ან ეთნიკური წარმოშობის ნიშნით;
  - ე) მსოფლიო რაგბის მე-6 რეგულაციის (ანტიკორუფციული, გარიგება, შიდა ინფორმაციის გასაჯაროება და/ან მესმე პირისთვის გადაცემა/ აკრძალული ფსონის დადება ) ნებისმიერი დარღვევა;



ვ) სადისციპლინო საქმის განხილვაში ჩართული მოთამაშის და/ან პიროვნების სადისციპლინო ისტორიის თაობაზე ან სამომავლო სათამაშო გეგმებზე არაზუსტი და/ან ყალბი ინფორმაციის მიწოდება;

ზ) წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრული ქცევის კოდექსის ნებისმიერი დარღვევა;

თ) მიმდინარე თუ დაგეგმილ სადისციპლინო საქმის განხილვასთან თუ მსაჯობასთან დაკავშირებული კომენტარები და/ან ქცევა, რომელიც შეიძლება იყოს მიკერძოებული ან გავლენა მოახდინოს სადისციპლინო პროცედურების ან მსაჯობის მსვლელობაზე და ზიანი მიაყენოს თამაშის ინტერესებს და/ან რომელიმე პიროვნებას და/ან სადისციპლინო პერსონალს;

ი) საითინგ კომისართან, ლიეიზონ ოფიცერთან და/ან სადისციპლინო პროცესთან თანამშრომლობაზე უარის თქმა;

კ) მოთამაშის, პიროვნების, სრკ-ს წევრის უარი მსოფლიო რაგბის მე-6 რეგულაციასთან (ანტიკორუფციული, გარიგება, შიდა ინფორმაციის გასაჯაროება და/ან მესმე პირისთვის გადაცემა/ აკრძალული ფსონის დადება ) დაკავშირებული ან ანტიდოპინგური წესის დარღვევებთან დაკავშირებულ ან სადისციპლინო კომისიის და სააპელაციო კომისიის მიერ განსახილველ სხვა გამოძიებებში მონაწილეობაზე; და/ან

ლ) თამაშის და/ან მასში არსებული რომელიმე სტრუქტურის, სრკ-ს და/ან მისი რომელიმე სტრუქტურის ან წევრის, სრკ-ს წევრი სუბიექტების და/ან კომერციული პარტნიორის და/ან მსაჯების და/ან მეთვალყურეების და/ან სადისციპლინო პერსონალის მიმართ შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ან დამაკნინებელი კომენტარების გაკეთება ნებისმიერი სახის მედიასაშუალებების ან ნებისმიერი სოციალური ინტერნეტ პლატფორმის მეშვეობით.

**8.20.** სრკ და მის იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა სრკ-ს წევრი სუბიექტები პასუხისმგებელნი არიან თავიანთი მოთამაშეების და მათი წევრი ყველა პირის დისციპლინირებულ ქცევაზე და ვალდებული არიან უზრუნველყონ მათ მიერ სადისციპლინო რეგულაციების დაცვა.

**8.21** ქცევის კოდექსის დარღვევისთვის და არამართებული ქცევისთვის, სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია დამრღვევ პიროვნებას და მის სრკ-ს წევრ სუბიექტს დააკისროს ქვემოთ ჩამოთვლილი და/ან სხვა შესაბამისი სანქციები. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს:

ა) გაფრთხილება, გაკიცხვა;

ბ) ფულადი ჯარიმა და/ან განკარგულება ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით;

გ) გაძევება ტურნირის და/ან მატჩების სერიის დარჩენილი ნაწილიდან;

დ) მატჩის შედეგის გაუქმება და ერთერთი ან ორივე მონაწილე გუნდისთვის წაგების ჩათვლა;

ე) მატჩის გადათამაშება;

ვ) საცხრილო ქულების დაკლება;

ზ) სრკ-ს მიერ ორგანიზებული თამაშების დროს სათამაშო სივრცეში ან სათამაშო პერიმეტრში დაშვების აკრძალვა;

თ) რაგბთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ/ოფიციალური პირის თანამდებობებზე მუშაობის გარკვეული პერიოდით აკრძალვა;

ი) ზემოთჩამოთვლილი და სხვა შესაფერისი სანქციების ნებისმიერი კომბინაცია;



**9. სადისციპლინო და სააპელაციო კომისიების (ე.წ. „სადისციპლინო ტრიბუნალი“) საქმიანობის წესი და უფლებამოსილება, მ.შ. იურისდიქციის სფეროები, პროცედურები და მტკიცებულებების განხილვის წესი.**

ზოგადი :

9.1 სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს უფლება აქვს სადისციპლინო ტრიბუნალის ერთ-ერთი წევრის ან წევრების მომართვის საფუძველზე დაიწყოს სადისციპლინო საქმის წარმოება, თუ მომართვაში აღნიშნული სავარაუდო დისციპლინარული დარღვევა ლახავს სრკ-ს იმიჯს და/ან განეკუთვრება სადისციპლინო რეგულაციით განსაზღვრულ მძიმე დარღვევას.

9.2 სადისციპლინო ტრიბუნალი არის სრულიად ავტონომური; მის მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს, ამ დებულებით განსაზღვრული სრკ-ს და მისი სტრუქტურების, სრკ-ს წევრი სუბიექტების, მოთამაშეების და პიროვნებებისათვის. არცერთი მათგანი არაა უფლებამოსილი გააუქმოს ან შეცვალოს სადისციპლინო ტრიბუნალის რაიმე გადაწყვეტილება.

9.3 სრკ-ს სადისციპლინო და/ან სააპელაციო კომისიის წევრები არ უნდა იყვნენ განსახილველ საქმეში რომელიმე მხარესთან რამენაირად დაკავშირებული.

9.4 მტკიცებულების სტანდარტი სადისციპლინო ტრიბუნალის მიერ წამოჭრილ ნებისმიერ საკითხზე ყოველთვის ემყარება ალტერნატივების ბალანსის პრინციპს და წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

9.5 სრკ და სადისციპლინო ტრიბუნალი უფლებამოსილია საჭიროებისამებრ გამოაქვეყნონ მოხსენებები სადისციპლინო საქმეების განხილვის, დასკვნების და სანქციების თაობაზე. სადისციპლინო ტრიბუნალის და სრკ-ს სააპელაციო კომისიის ცალკეულ წევრებს არა აქვთ უფლება მოახდინონ სადისციპლინო ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კომენტირება მედიაში.

9.6 ყველა განხილვა ტარდება დახურული სახით.

9.7 სადისციპლინო ტრიბუნალი უფლებამოსილია:

- (ა) დანიშნოს და/ან შეცვალოს საქმის განხილვის თარიღი;
- (ბ) გადაწყვიტოს შეიძლება თუ არა მოწმეების ოთახში დატოვება მათ მიერ ჩვენებების მიცემის შემდეგ;
- (გ) მოითხოვოს საქმის განხილვაში თარჯიმნის მონაწილეობა;
- (დ) გამოიძახოს ექსპერტები ვიწრო სპეციალობით კონსულტაციების უზრუნველყოფის მიზნით;
- (ე) მოითხოვოს იურიდიული კონსულტანტის დახმარება;
- (ვ) იმსჯელოს გადაწყვეტილების მიღებაზე დახურული კარების მიღმა.

9.8 საქმის წინასწარ და/ან ძირითად განხილვაზე რომელიმე მხარის არდასწრება (წინასწარი შეტყობინების მიუხედავად) არ გამოიწვევს საქმის განხილვის გადადებას.

9.9 სრკ-ს სადისციპლინო კომისიის და/ან სააპელაციო კომისიის ნებისმიერი განხილვა, დასკვნა თუ გადაწყვეტილება წინამდებარე რეგულაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე არ შეიძლება გაბათილდეს მათში რაიმე პროცედურული წესების დარღვევის, დეფექტის, შეცდომის, გამორჩენის ან სხვა ტექნიკური სახის წუნის გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსგავსი სახის პროცედურული წესების დარღვევა, დეფექტი, შეცდომა, გამორჩენა ან სხვა ტექნიკური სახის წუნი



წარმოშობს არსებით ეჭვს სადისციპლინო ტრიბუნალის დასკვნების ან გადაწყვეტილების არსში ან იწვევს უსამართლობას.

9.10 სადისციპლინო და სააპელაციო კომისიების მიერ საქმეების განხილვის მთლიანი პროცესი (კერძო მსჯელობების გარდა) შეიძლება დაფიქსირდეს აუდიო, აუდიოვიზუალური ან სტენოგრაფიული ჩანაწერის სახით. განხილვის პროცესი და მასთან დაკავშირებული მთელი დოკუმენტაცია შესაბამისი პერიოდის განმავლობაში შეინახება სრკ-ს მიერ, რომელიც ვალდებულია მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მსოფლიო რაგბს შესაბამისი დოკუმენტაცია.

9.11 ნებისმიერი საკითხი, რომელიც არაა გათვალისწინებული წინამდებარე რეგულაციით და/ან მის დანართებში, განიხილება ბუნებრივი სამართლის და სამართლიანობის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით.

## 10. სადისციპლინო სამსახური. დანიშნვის წესი და ფუნქციები

10.1 სადისციპლინო სამსახური შედგება სადისციპლინო სამსახურის უფროსის, საფესტივალო ასაკის სადისციპლინო კომისიის, სადისციპლინო სამსახურის წევრებისაგან და საითინგ კომისრებისაგან.

10.2 სადისციპლინო სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სრკ-ს პრეზიდენტი სრკ-ს გამგეობასთან შეთანხმებით. სადისციპლინო სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და ა.შ.) მის უფლებამოსილებას ასრულებს სადისციპლინო სამსახურის ერთ-ერთი წევრი, რომელიც აირჩევა სადისციპლინო სამსახურის წევრთა მიერ ხმათა უბრალო უმრავლესობით.

10.3 სადისციპლინო სამსახურის უროსი ავტომატურად არის სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე/წევრი.

10.4 სააპელაციო კომისიის თავმჯდომარეს და წევრებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სრკ-ს პრეზიდენტი სრკ-ს გამგეობასთან შეთანხმებით. სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და ა.შ.) მის უფლებამოსილებას ასრულებს სააპელაციო კომისიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც აირჩევა სააპელაციო კომისიის წევრთა მიერ ხმათა უბრალო უმრავლესობით.

10.5 საფესტივალო ასაკის სადისციპლინო კომისია შედგება არანაკლებ 3 (სამი) წევრისგან, რომელთა შემადგენლობას ფესტივალის ორგანიზატორებიდან წარადგენს სადისციპლინო სამსახურის უფროსი.

10.6 სადისციპლინო სამსახურის წევრებს, საითინგ კომისრებს, სადისციპლინო სამსახურის უფროსის წარდგინების საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სრკ-ს პრეზიდენტი.

10.7 სადისციპლინო სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია სრკ-ს გამგეობის წინაშე.

10.8 სადისციპლინო/სააპელაციო კომისია შედგება არანაკლებ 5 (ხუთი) წევრისგან. კომისია უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება არანაკლებ კომისიის წევრთა უმრავლესობა.

10.9 საფესტივალო ასაკის სადისციპლინო კომისია, სადისციპლინო/სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

10.10 საფესტივალო ასაკის სადისციპლინო კომისიის, სადისციპლინო/სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე.



## 11. სადისციპლინო კომისიის მუშაობის წესი

- 11.1 სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია არ მიიღოს საქმე განსახილველად მასში არსებული მტკიცებულებებისა და დამხმარე მასალების არასაკმარისობის გამო და მისცეს მომჩივან მხარეს გონივრული ვადა მათ წარსადგენად.
- 11.2 განსახილველი საქმის მიღების შემთხვევაში, სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების მიღების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 (ათი) სამუშაო დღეს.
- 11.3 სადისციპლინო კომისია, საქმის განსახილველად მიღების შემდეგ, ატყობინებს და აწვდის განსახილველ საქმეში მის ხელთ არსებული მასალების ასლებს სრკ-ს წევრ სუბიექტს, რომლის მოთამაშეს/ პიროვნებასაც ეხება განსახილველი საქმე. სადისციპლინო კომისია საქმის განხილვაში ჩართულ მოთამაშეს / პიროვნებას აძლევს საშუალებას გამოთქვას თავისი თვალსაზრისი, მიიღოს ინფორმაცია მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებ(ებ)ის შესახებ, და წარმოადგინოს თავისი არგუმენტაცია.
- 11.4 სადისციპლინო კომისიის წევრები უფლებამოსილნი არიან განსაზღვრონ საქმის განხილვის წინა პერიოდის პროცედურები და ჩვენებების მოპოვების წესი, მათ შორის:
  - (ა) განხილვის წინა კონფერენციის ორგანიზება განხილვის სხდომისთვის მოსამზადებელი მითითებების გაცემისა და პროცედურების განმარტების მიზნით, და
  - (ბ) სათანადო პირებისთვის საქმის გარჩევაზე მოწმის სახით დასწრების მოთხოვნა.
- 11.5 განხილვის წინა პერიოდში სადისციპლინო კომისიის წევრმა შეიძლება თავად მართოს აღნიშნული პროცესი, სადისციპლინო კომისიის სხვა წევრების ჩართვის გარეშე.
- 11.6 სადისციპლინო კომისია ვალდებულია ეცადოს საქმის განხილვაზე დაასწრონ მოთამაშე და/ან პიროვნება და/ან მათი წარმომადგენლები. მეორეს მხრივ, წინამდებარე რეგულაციის ფარგლებში სადისციპლინო კომისიას არ ეკრძალება საქმის განხილვის წესის განსაზღვრა და განხილვის განხორციელება იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშე და/ან პიროვნება და/ან მათი წარმომადგენლები საქმის გარჩევას არ ესწრებიან. თუმცა საქმის გარჩევა მოცემულ საქმეში ჩართულ მხარეთა დაუსწრებლად დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ხსენებული მხარეები უზრუნველყოფილნი იყვნენ დასწრების შესაძლებლობით, მაგრამ უარი თქვეს მოცემულ შესაძლებლობაზე საპატიო მიზეზის გარეშე, ან დათანხმდნენ საქმის განხილვას მათი მონაწილეობის გარეშე.
- 11.7 სადისციპლინო საქმის განხილვამდე, სადისციპლინო კომისიის წევრები უფლებამოსილნი არიან სადისციპლინო რეგულაციების დამრღვევ მოთამაშეს და/ან პიროვნებას:
  - (ა) მოსთხოვონ მათთვის საქმის ვითარების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდება და მოწმეების დასახელება;
  - (ბ) მიაწოდონ იმ დოკუმენტაციის ან მოხსენების ასლები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება საქმის განხილვის პროცესში;
  - (გ) მოსთხოვონ საქმის განხილვის წინა პერიოდში ან განხილვის პროცესში სათანადო მითითებების შესრულება.
- 11.8 მოთამაშეს და/ან პიროვნებას, რომელსაც მოეთხოვება საქმის განხილვაზე დასწრება განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხის გაცემის მიზნით, აქვს უფლება დაასწროს საქმის განხილვას თავისი წარმომადგენელი.

## 12. მტკიცებულებების სტანდარტი

- 12.1 მსაჯის, როგორც მატჩის დროს თამაშის წესების მთლიანობის დაცვის ერთადერთი განმსჯელის გადაწყვეტილება ხელშეუხებელია. მსაჯის გადაწყვეტილებები მოედანზე და



მათი გავლენა თამაშის შედეგზე ვერ შეიცვლება ან გაუქმდება სადისციპლინო კომისიის მიერ. უკიდურეს გამონაკლისს წარმოადგენს ამ რეგულაციის 5.10 პუნქტში აღნიშნული გარემოება. სადისციპლინო პერსონალის მიერ თამაშის დროს მსაჯის მიერ დაფიქსირებული დისციპლინარული დარღვევის შემდგომი განხილვა, მიზნად ისახავს, წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრული წესებით, დაფიქსირებულ დისციპლინარულ დარღვევაზე შესაბამის რეაგირებას.

- 12.2 მტკიცებულებების სტანდარტი მთლიანად არის დამოკიდებული იმაზე თუ როგორი იქნება მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (ანუ ვინ უფრო კარგად დაადასტურებს ფაქტობრივ გარემოებებს მტკიცებულებებით).
- 12.3 უპირატესობა ენიჭება საქმესთან პირდაპირ და/ან ირიბად დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დოკუმენტალურ მასალას (მ.შ. აუდიო და ვიდეო მასალები) და განხილვებზე დამსწრე პირებისგან მოსმენილ უშუალოდ მოყოლილ დაკვირვებებს ინციდენტთან დაკავშირებით. გადმოცემით მონათხრობი ასევე შეიძლება მისაღები იყოს როგორც ჩვენება. თუმცადა, გადმოცემით მონათხრობისთვის უშუალო თვითმხილველის ინფორმაციასთან შედარებით უპირატესობის მინიჭება სიფრთხილეს საჭიროებს, ამიტომ, გადმოცემით მონათხრობს შედარებით ნაკლები ძალა აქვს.
- 12.4 სადისციპლინო კომისიის წევრებმა არ უნდა დაუშვან მტკიცებულებების სახით მოსაზრებების გამოთქმა. ამ თვალსაზრისით, დასაშვებია მხოლოდ ექსპერტის მოსაზრება და ისიც მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენება სცილდება სადისციპლინო კომისიის ცოდნას.
- 12.5 იმ შემთხვევაში, თუ საქმე სადისციპლინო დარღვევის შესახებ აღძრულია ერთზე მეტი მოთამაშის ან პიროვნების წინააღმდეგ, ერთი ან რამდენიმე ინციდენტის გამო, ყველა ბრალდებულის საკითხი განიხილება ერთდროულად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ერთერთ მათგანთან მიმართებაში სახეზეა პრეიუდიცია.
- 12.6 სადისციპლინო კომისიის წევრები უფლებამოსილნი არიან მოიპოვონ ისეთი მტკიცებულებები და იმ ფორმით, რასაც საჭიროდ ჩათვლიან (მ.შ. წერილობითი ფორმით), მოპოვებული მტკიცებულების იურიდიული ვალიდურობის მიუხედავად. ამასთანავე, ისინი უფლებამოსილნი არიან შეხედულებისამებრ მიანიჭონ მოპოვებულ მტკიცებულებას განსახილველ საკითხთან მისი მნიშვნელობის ხარისხი.

### 13. საითინგ კომისარი და მისი ლიეიზონ ოფიცერი - დანიშვნის წესი და ფუნქციები

- 13.1 საითინგ კომისარებს და მათ ლიეიზონ ოფიცერებს, სრკ-ს მიერ ორგანიზებულ ნებისმიერი დონის პირველობის მატჩებზე ან სხვა ნებისმიერი დონის მატჩზე, შეხედულებისამებრ ნიშნავს სრკ-ს სადისციპლინო სამსახური.
- 13.2 საითინგ კომისარი უფლებამოსილია დააფიქსიროს თამაშის წესების დარღვევის ნებისმიერი ინციდენტი, რისთვისაც, საითინგ კომისარის აზრით, მოთამაშე მოედნიდან თამაშის ბოლომდე გაძევებას იმსახურებდა (წითელი ბარათი).
- 13.3 საითინგ კომისარი უფლებამოსილია დააფიქსიროს ბინძური თამაშის ნებისმიერი ინციდენტი, რომელიც შემჩნეული უნდა ყოფილიყო მატჩის მთავარი მსაჯის ან ასისტენტის მსაჯის ან მეთვალყურის მიერ და რომელზეც მათ რეაგირება უნდა მოეხდინათ. საითინგ კომისარს არა აქვს უფლება დააფიქსიროს თამაშის წესების დარღვევის ისეთი ინციდენტი, რომლის გამოც მოთამაშე გაძევებული იქნა მოედნიდან წითელი ბარათით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოედნიდან თამაშის ბოლომდე გაძევება ხდება ორი ყვითელი ბარათის მიღების შედეგად. ამ შემთხვევაში, მოთამაშის საითინგი შეიძლება მოხდეს თამაშის



- წესების დარღვევის იმ ინციდენტების გამოც, რომლების შედეგადაც მან ერთერთი ან ორივე ყვითელი ბარათი მიიღო.
- 13.4 საითინგ კომისარი უფლებამოსილია გაფრთხილება მისცეს მოთამაშეს, რომელის ბინძური თამაშის ინციდენტი ახლოს დგას წითელი ბარათის ზღვართან, მაგრამ იგი არ იქნა მინდვრიდან გაძევებული (წითელი/ყვითელი ბარათი) მსაჯის მიერ.
- 13.5 საითინგ კომისარი მოქმედებს მატჩზე დანიშნული სხვა ოფიციალური პირებისგან დამოუკიდებლად.
- 13.6 იმ შემთხვევაში, თუ საითინგ კომისარი მატჩს არ ესწრება, ადგილზე უნდა იმყოფებოდეს სათანადო კვალიფიკაციის მქონე საითინგ კომისარის ლიეიზონ-ოფიცერი, რომელსაც შეუძლია შესაბამის ვადებში მიაწოდოს საითინგ კომისარს სათანადო ინფორმაცია და მხარდამჭერი მონაცემები, რომლებიც დაეხმარება საითინგ კომისარს თავისი მოვალეობების შესრულებაში ან თვითონ შეასრულოს საითინგ კომისარის მოვალეობები.
- 13.7 საითინგ კომისარი და/ან მისი ლიეიზონ ოფიცერი, უფლებამოსილია დააფიქსიროს, წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრული, მოთამაშის ან პიროვნებების მხრიდან, სავარაუდო ქცევის კოდექსის დარღვევის ან არამართებული ქცევის ნებისმიერი ფაქტი.
- 13.8 საითინგ კომისარი და/ან მისი ლიეიზონ ოფიცერი წინამდებარე რეგულაციით დამტკიცებული ფორმის მეშვეობით აწვდის სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს სათანადო ინფორმაციას და მხარდამჭერ მონაცემებს, მოთამაშეების და პიროვნებების მხრიდან სავარაუდოდ მომხდარი ბინძური თამაშის და/ან არამართებული ქცევის ინციდენტების შესახებ, **48 (ორმოცდარვა) საათის** განმავლობაში იმ მატჩის დასრულებიდან, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ ინციდენტებს.

#### 14. კომუნიკაციის ფორმა.

- 14.1 სადისციპლინო კომისიის შეტყობინებები, სხდომაზე მოწვევები, გაფრთხილებები და სხვა სახის დოკუმენტები იგზავნება მხარის ოფიციალური ან კომისიისათვის ცნობილი ელექტრონული ფოსტის მისამართზე.
- 14.2 მხარეთა მისამართების, მათ შორის ელექტრონული ფოსტის მისამართის შეცვლის შემთხვევაში, აუცილებელია სადისციპლინო კომისიისათვის აღნიშნულის თაობაზე დროული ინფორმაციის მიწოდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეტყობინება ჩაითვლება გაგზავნილად და ჩაბარებულად, თუკი იგი გაიგზავნა კომისიისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე.
- 14.3 ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება მხარის მიერ მიღებულად ჩაითვლება ადრესატის მხრიდან მიღების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო თუ ასეთი დადასტურება არ განხორციელებულა, შეტყობინების გაგზავნიდან 24 საათის გასვლისთანავე.